

## სამეგრელოს მიწისა და ტყის რესურსების კარტოგრაფირება

**კობა კორსანტია**                      გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული  
პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
E-mail: k.korsantia@sou.edu.ge

**რევაზ თოლორდავა**                გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული  
პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
E-mail: r.tolordava@sou.edu.ge

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიისა და  
ტურიზმის ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** ნაშრომის მიზანია სამეგრელოს რეგიონის მიწისა და ტყის რესურსების კარტოგრაფირება გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით. აღნიშნულთან დაკავშირებით შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწის რესურსების ტრანსფორმაციის შედარების, მიწის ფონდის შესახებ სტატისტიკური და თვით ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული მონაცემების დამუშავებით მიღებული შედეგების საფუძველზე შექმნილია მიწის რესურსების სტრუქტურული სურათი, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა რეგიონის სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების გადანაწილების შესახებ.

ზემოაღნიშნული მასალის განზოგადებისა და სივრცობრივი სხვადასხვაობის წარმოდგენის შედეგად ავტორმა შეიმუშავა სამეგრელოს ძირითადი ნიადაგური რესურსების გეოინფორმაციული რუკა, რომელიც ამომწურავად გამოხატავს აქ მიწის რესურსების გეოგრაფიული განაწილების სირთულეს. ასევე, ემპირიული დაკვირვების მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ სამეგრელოს სოფლის მეურნეობის გეოინფორმაციული რუკა, სადაც ნათლად ჩანს სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელების ზონები რეგიონის ტერიტორიაზე.

ტყეების კარტოგრაფირების, განახლებადი ბუნებრივი რესურსების მუდმივობისა და გარანტირებული მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით, ავტორის მიერ შემუშავებულია რეგიონის სატყეო მეურნეობების სტატისტიკური, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ნათლად ასახულია ნაშრომში. აქვე შესრულებულია გასული საუკუნის 80-იანი წლებისა და ამჟამად არსებული ტყის ფონდის მასალების შედარებითი ანალიზი. ტყის რესურსების შესახებ მოპოვებული დაკვირვებების, ემპირიული მასალების მოპოვება-ანალიზისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებით შედგენილია სამეგრელოს ტყის რესურსების პოტენციალის თანამედროვე გეოინფორმაციული რუკა, რომელშიც ნათლად ჩანს ტყის გავრცელების ფართობები უკანასკნელ წლებში.

*საკვანძო სიტყვები: გეოინფორმაციული რუკა, ტყის რესურსები, კარტოგრაფირება.*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამჟამდ მსოფლიოს ნიადაგური (მიწის) რესურსები და, მათ შორის, საქართველოს საკმაოდ შეზღუდული მიწის რესურსები ინტენსიურ დეგრადაციას განიცდის. მისი მიზეზი ნიადაგის ქარისმიერი (დეფლაცია) და წყლისმიერი (ეროზია) გადარეცხვის პროცესების გააქტიურება წარმოადგენს. ამავე დროს, ამ ნეგატიური მოვლენების ფართო განვითარება დაკავშირებულია ნიადაგდაცვითი ფუნქციების მოშლასთან, ეროზიული და მეწყრული ფერდობრივი პროცესების განვითარებასა და ნიადაგების გაბინძურება-გაჭუჭყიანების ინტენსიფიკაციასთან. სამეგრელოს მიწის რესურსებიც ძლიერ დეგრადაციას განიცდის. ამ უარყოფით პროცესებთან ერთად სამეგრელოს მიწების უდიდეს პრობლემას ჭაობებისა და დაჭაობებული ადგილების ფართო გავრცელება (სამეგრელოს ვაკე-დაბლობი და სანაპირო ზოლი) ქმნის. რეგიონის საშუალომთიანი და მაღალმთიანი ჰიფსომეტრიული დონეები კი (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის რაიონების ფარგლებში) რელიეფის ძლიერი სიღრმითი დანაწევრებისა და ე.წ. ბედლენდის (Badland - უვარგისი, ალქატი მიწები) მეტ-ნაკლებად სუსტი გავრცელების მიუხედავად, სამეგრელო ისე, როგორც მთელი საქართველო - მცირემიწიან რაიონად ითვლება.

ასევე სამეგრელოს მცენარეული საფარის უმთავრესი ეფექტურობა მისი ნიადაგდაცვით როლშია ასახული, რომლის ფუნქციებს ეკრანირებისა და ფიქსირების კანონზომიერი კომბინაცია განაპირობებს. ამ მოვლენის დეტალების გათვალისწინებით ნიადაგის მიერ წყლისა და მინერალური ნივთიერებების შეკავების, ასევე მასების გადატანის უნარების შემცირების შედეგად ეკოსისტემების კატასტროფულ ცვლილებების გამოწვევას უნდა ველოდოდ. მათ შორისაა, დააჩქარებული ეროზიის პროცესი, რომლის უმთავრესი გამომწვევი მიზეზი ურწყულო მიწათმოქმედებაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტყის საფარის ანთროპოგენური დეგრადაცია მსოფლიოს უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. აკი, ისტორიული დროის მსოფლიოში ტყით დაკავებული ფართობის 65%-ით შემცირება (მიქაძე, 2001) საზოგადოების არაგონივრულ საქმიანობას მიეწერება. მსგავსი საქმიანობა უცხო ხილი არც საქართველოში გამოდგა.

რეგიონის მიწის რესურსების შეფასების, რაციონალური გამოყენებისა და ათვისების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს ჭაობიანი მიწების ამოშრობა, მისი ნაყოფიერების გაზრდა და გამოყენება წარმოადგენს. სამეგრელოში თანამედროვე ჭაობების მიერ დაკავებული ფართობი 7663 ჰა-ს შეადგენს ანუ მას 76,6 კმ<sup>2</sup> მიწები აქვს დაკავებული. იმის მიუხედავად, რომ გასულ საუკუნეში აქ ჭაობების დაშრობა ინტენსიურად მიდიოდა, რომელმაც მოსალოდნელი საგრძნობი დადებითი შედეგები ვერ მოგვცა და, შესაბამისად, მიწის რესურსების პოტენციალის ზრდასა და განვითარებასაც ადგილი არ ჰქონია. გასული საუკუნის 90-იან წლებში კი სამეგრელოს მიწების არარაციონალურმა ათვისებამ კიდევ უფრო დაამძიმა მიწათმოწყობისა და რესურსული ათვისების პერსპექტივა. ამას დაემატა სამეგრელოში 2005 წლის მდგომარეობით არსებული საშრობი და სარწყავი არხებისა და ქსელების მთლიანი მოშლა და უმოქმედობის გამოწვევა. ამავე დროს, ნიადაგდაცვითი ღონისძიებების პრაქტიკაში გაუტარებლობის გამო - გაუარესდა სამელიორაციო სისტემების მდგომარეობა. საშრობი არხების მოშლამ კი დაჭაობებული ფართობების ზრდა და ჭაობებური ლანდშაფტების დამკვიდრება განაპირობა. ნიადაგის ეროზიულმა და მეორადი დაჭაობების პროცესებმა მწყობრიდან გამოიყვანა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოსაყენებელი მასივები. ამიტომ, სამეგრელოს მიწის რესურსების რაციონალური (გონივრული)

ათვისების თვალსაზრისით, აგრეთვე თანამედროვე სტანდარტების მიღწევის გათვალისწინებით, მიწის რესურსების გეოგრაფიულ შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დაჩქარებას მოითხოვს მიწის ინვენტარიზაციის სამუშაოების ბოლომდე ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს სავარგულთა შემადგენლობის საბოლოოს დაზუსტებასაც.

სამეგრელოს მიწის რესურსების კარტოგრაფირება შესაძლებელია თითოეული რაიონის მიწის ინდექსისა და მისი საკადასტრო რუკების ანალიზის, გასული საუკუნის 90-იან წლებში მიწების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობის, მიწის რესურსების პოტენციალის უახლესი ცვლილებებისა და სხვათა გათვალისწინებით.

გასული საუკუნის 90-იანი წლების რეფორმით სამეგრელოს მიწების ნაწილი მოსახლეობას გადაეცა. კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწის ფართობებმა 92737 ჰა შეადგინა. აქედან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები იყო 90995 ჰა, ხოლო დანარჩენი (1742 ჰა) არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის იყო განკუთვნილი. რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწის რესურსების ტრანსფორმაციის შესახებ წარმოდგენას იძლევა გასული საუკუნის 80-იანი წლებისა და ამჟამად არსებული რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარება (სამეგრელოს მიწის..., 2004)..... იგი შესაძლებელი გახდა რეგიონის მიწის ფონდის შესახებ სტატისტიკური და თვით ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული მონაცემების დამუშავებით მიღებული შედეგების საფუძველზე. ბოლო მონაცემების მიხედვით სამეგრელოს მიწის ფონდის ჯამური ფართობი 442375 ჰა–ს შეადგენს. ნაშრომში მოტანილია მიწის რესურსების სტრუქტურული სურათი (ცხრილი 1), რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა რეგიონში განვითარებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და მათ მიერ დაკავებული მიწის ფართობების გადააწილების შესახებ.

**ცხრილი 1. სამეგრელოს რაიონების მიწის რესურსების სტრუქტურა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით. ფართობები მოცემულია ჰა-ში**


რაიონი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები									
	საერთო ფართობი	სასოფლო სამეურნეო მიწები	სახნავი	ხეილის ზაღი	ჩაი	ციტრუსები	ვენახი	სხვა მრავალწლიანი ნარგავები, თხილი	სამოვარი	სათიბი
აბაშა	32252	20754	12791	965	68	–	7	688	6235	–
ზუგდიდი	69207	35893	14197	440	5370	468	348	6698	8900	–
მარტვილი	88060	31523	9773	649	2822	–	694	1109	16313	163
სენაკი	52071	21924	9696	307	1212	150	110	2951	7198	24
ჩხოროწყუ	61936	21218	4843	528	2975	9	205	1222	11437	–
წალენჯიხა	64668	13573	3886	145	2914	–	160	1213	5075	80
ხოზი	67601	29942	12447	531	1432	377	37	1447	12592	11
ქ. ფოთი	6580	858	313	–	25	–	272	32	5	–
სულ	442375	175685	67134	3565	16818	1004	1833	11995	67887	278

ამავე დროს, მიწის ფონდის ათვისების ხვედრითი მაჩვენებლების მისაღებად, საინტერესოა ამ რესურსების საერთო სტრუქტურული ნიშნები ანუ ამ მიწებზე წარმოდგენილი ბუნებრივი და ხელოვნური კომპონენტების სივრცობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების თანამედროვე მდგომარეობა. აქ დიდი ინტერესი აქვს რეგიონის მიწის ფონდების თუ რა წილი აქვს დაკავებული ტყეებსა და ბუჩქნარებს, ტბებსა და წყალსაცავებს, მდინარებსა და ჭაობებს, მაგისტრალურ არხებსა და შიდა სატრანსპორტო ქსელებს, ადგილობრივ გზებს, შენობებსა და ნაგებობებს, სამხედრო თუ სხვა პოლიგონებს, ეროზირებულ და დამეწყრილ ფრაგმენტებს, დაბინძურებულ და კარიერულ უბნებსა და ა.შ. მათ შესახებ კრებსითი მონაცემები მოტანილია ცხრილში 2.

**ცხრილი 2. სამეგრელოს რაიონების მიწის რესურსების არასასოფლო-სამეურნეო სტრუქტურა. ფართობები მოცემულია ჰა-ში**

რაიონი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდი									
	ტყე-ბუჩქნარი ჰა	შენობებითა და გზებით დაკავებული მიწები ჰა	მდინარეებით, ნაკადულებით ჰა	წყალსაცავებითა და ტბორებით ჰა	ტბებით ჰა	ჭაობებით ჰა	გამოუყენებელი მიწები ჰა	მაგისტრალური არხებით და შიდა ქსელებით ჰა	ეროზირებული და დამეწყვრილი ჰა	კლდეებით, ხრამებით დაკავებული მიწები ჰა
აბაშა	2352	1731	1958	210	–	24	5223	–	1841	3181
ზუგდიდი	17596	5953	4317	54	–	196	3720	458	1666	1889
მარტვილი	45344	2209	1613	–	–	50	7321	–	605	6568
სენაკი	19048	3011	1487	631	–	254	3470	2246	1500	1933
ჩხოროწყუ	27693	1381	991	91	–	–	10539	22	2830	7667
წალენჯიხა	41972	1197	464	1447	1	76	5939	–	484	5396
ხობი	23250	2897	1698	25	–	6918	487	2385	–	447
ქ. ფოთი	695	1154	505	56	2345	145	739	9	–	1449
სულ:	177950	19533	13033	2514	2346	7663	37338	5120	8926	28530


სამეგრელოს მიწის რესურსების რაციონალური და გონივრული ათვისება-გამოყენების მიზნით, უმთავრეს გეოგრაფიულ ამოცანას წარმოადგენს აგრარულ-რესურსული პოტენციალის ახალ სისტემებზე დაყრდნობით კადასტრიტრეზი-კარტოგრაფირება, რომელიც ჯერ არაა დასრულებული. მსგავსი სამუშაოების შესრულებითა და საბაზო რუკების შედგენის საფუძველზე ყოველწლიურად შეიძლება მიწის რესურსების სტრუქტურული ცვლილებების შეფასება და რეალური მონიტორინგის სისტემის ამოქმედება-დაწესება. აღნიშნული მასალის განზოგადოებისა და სივრცებრივი სხვადასხვაობის წარმოდგენის შედეგად ავტორის მიერ შემუშავებულია სამეგრელოს ძირითადი ნიადაგური რესურსების გეოინფორმაციული რუკა, რომელიც (ნახ. 1) შედარებით ამომწურავად გამოხატავს აქ მიწის რესურსების გეოგრაფიული განაწილების სირთულეს.



ნახ. 1. სამეგრელოს ნიადაგების გეოინფორმაციული რუკა (კორსანტია, 2011)

სოფლის მეურნეობის განვითარება კი უშუალო კავშირშია მოწის რესურსებთან, კერძოდ მიწათმოქმედების პერსპექტივას რეგიონში ყველაზე ხელსაყრელი აგროკლიმატური და ნიადაგ-კლიმატური პირობები გააჩნია, რასაც უმთავრესად ზუგდიდის, ხობის, სენაკისა და აბაშის რაიონები მიეკუთვნება. ზემოთმოცემული მასალებისა და თვით ავტორის ემპირიული დაკვირვების მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ სამეგრელოს სოფლის მეურნეობის გეოინფორმაციული რუკა (ნახ. 2.), სადაც ნათლად ჩანს სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელების ზონები რეგიონის ტერიტორიაზე.

სამეგრელოს ტყის რესურსები ძირითადად კონცენტრირებულია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის რაიონის ფარგლებში, რომლებიც ლანდშაფტების ნაირგვარობითაც გამოირჩევიან. რეგიონის სატყეო ფონდის ფართობი გასული საუკუნის 80-იან წლებში 174294 ჰა-ს, ხოლო ტყით დაფარული ფართობი 136653 ჰა-ს შეადგენდა. ცხადია, რომ სამეგრელოს რეგიონის ტყიანობის მაჩვენებელი საკმაოდ შთამბეჭდავ სიდიდეს (43,5%) იძლეოდა. რეგიონში იყო 5 სატყეო მეურნეობა (ცხრილი 3), რომელთა შორისაა: წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ქარიატისა და კოლხეთის სატყეო მეურნეობები, სადაც თავმოყრილი იყო სამეგრელოს ტყეების ყველაზე მრავალფეროვანი და საუკეთესო ჯიშები.



ნახ. 2. სამეგრელოში სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელება (კორსანტია, 2011)

გასული საუკუნის 80-90 წლებში საკვლევ რეგიონის ტყეების ფონდების ხელოვნური ცვლილებების (ტყის გაჩეხვა) შედეგები საკმაოდ შესამჩნევ სიდიდეებს იძლევა. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ სამეგრელოს საშუალომთიანი, დაბალმთიანი და ვაკე არელების ტყეებზე ანთროპოგენური ტრანსფორმაცია შეინიშნება. წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხობის, აბაშის და ქ. ფოთის სატყეო მეურნეობებში ადრე ფიქსირებული ტყეების (174254 ჰა) ფართობის შემცირებამ 23,5 % შეადგინა. ხოლო კონკრეტულად ტყეებზე ზემოქმედების ანთროპოგენურმა ზეგავლენამ ანუ ტრანსფორმაციის სიდიდემ 9,1 % მიაღწია. სატყეო ფონდის გასული საუკუნის 80-90 წლებისა და 2005-2006 წლების მონაცემების შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მარტვილის რაიონში 90-იან წლებში სატყეო ფონდის ფართობი 46211 ჰა-ს (სხვა მონაცემებით - 45125 ჰა) შეადგენდა. იგივე ცვლილებებია დაფიქსირებული წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში, სადაც ის 54916 ჰა-დან ბოლო მონაცემებით 41972 ჰა-მდე შემცირდა, ჩხოროწყუს რაიონში - 30694 ჰა-დან 27690 ჰა-მდე, აბაშის რაიონში - 4881 ჰა-დან 2352 ჰა მდე, ხობის რაიონში - 12085 ჰა-დან 10796 ჰა-მდე, სენაკის რაიონში - 20187 ჰა-დან 19048 ჰა-მდე, ხოლო ქ. ფოთში - 880 ჰა-დან 695 ჰა-მდე.



**ცხრილი 3. სამეგრელოს სატყეო მეურნეობები**

სატყეო მეურნეობა	რაიონი	რაიონის ფართობი, კმ <sup>2</sup>	ტყის ფონდის ფართობი ჰა	ტყის ფონდის ფართობი ჰა	ტყიანობა %	მერქნის მარაგი მ <sup>3</sup> /ჰა	ტყის ფონდის ცვლა 1980-2005 წწ ჰა/%-ში
წალენჯიხა	წალენჯიხა, ზუგდიდი	1329	54916	51696	38,8	6971,5	32605//- 40,6
ჩხოროწყუ	ჩხოროწყუ	619	30694	28033	45,2	4017,1	26889//- 12,4
მარტვილი	მარტვილი	881	46211	43412	49,2	6635,7	43001//- 7,0
ქარიატი	ხობი	16	1539	552	34,5	26,4	
კოლხეთი	აბაშა, სენაკი, ხობი, ქ.ფოთი	1500	40934	38190	25,4	2531,1	
სულ			4345	174294	161883		201818

ტყის რესურსების რაციონალური ათვისების კვალდაკვალ, მათი შეზღუდული სარგებლობის სახელმწიფოებრივი კონტროლია ამოქმედებული. თუმცა, ქვეყანაში დამკვიდრებული ტყით სარგებლობის 20-წლიანი ლიცენზიის უგულვებელყოფამ გამოიწვია უნიკალური სახეობის მცენარეთა ნაწილობრივი ან სრული განადგურება. ამასთან, ტყეების გავერანებასთან ერთად, მოსალოდნელია ძლიერი ეროზიული, მეწყრული და დენუდაციური პროცესების გააქტიურება. ძლიერი ანთროპოგენური დატვირთვების შედეგად კი ეკოსისტემების დარღვევისა და ბიომრავალფეროვნების შემცირებას უნდა ველოდოთ, სამეგრელოს ტყის რესურსებისა და ბუნებრივი გარემოს ოპტიმიზაციის მიზნით, აგრეთვე გონივრული ბუნებათსარგებლობისა და რაციონალური რესურსათვისების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შემოთავაზებულია რეგიონში დაცული ტერიტორიის სისტემის ამოქმედება. ეს, პირველ რიგში, ეხება საშუალომთიან ზონას, სადაც ტყის უდიდესი ფართობებია. ტყის რესურსების შესახებ მოპოვებული დაკვირვებების, ემპირიული მასალების მოპოვება-ანალიზისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებით შედგენილია სამეგრელოს ტყის რესურსების პოტენციალის თანამედროვე გეოინფორმაციული რუკა (ნახ.3).



ნახ. 3. სამეგრელოს ტყეების გავრცელება (კორსანტია, 2011)

ტყეების კარტოგრაფირების, განახლებადი ბუნებრივი რესურსების მუდმივობისა და გარანტირებული მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით ავტორის მიერ შემუშავებულია წინადადება როგორც ბუნების დაცვის, ისე მრავალმხრივი გამოყენების დასაშვები შეფარდების ზონების (უნიკალური სახეობები, ხელუხლებელი ფრაგმენტები) გამოყოფის შესახებ. ამ ზონების მოწყობა ემსახურება ბუნების დაცვისა (ტყის გაკაფვის აკრძალვა) და განახლებადი ბუნებრივი რესურსების (ტყის აღდგენითი საქმიანობა) მოსახლეობის მიერ ისტორიულად ჩამოყალიბებული და ტრადიციად ქცეული მეურნეობრიობის (ტყის შერჩევითი წრის უბნები და პერიოდები) წარმართვას, როდესაც ლიმიტირებულია საშუალო მერქნის მოპოვების, ტყის ჭრისა და სხვა ანთროპოგენური დატვირთვების არარენტაბელური საქმიანობები.

#### ლიტერატურა:

1. Alpenidze M., Seperteladze Z., Davitaia E., Kharadze K. SaqarTvelos fizikuri geografia, Tb. 2009.
2. Ketskhoverli N., SaqarTvelos mcnareuli safari, Tb., 1959.
3. Kobaxidze E., saqarTvelos bunebrivi simdidreebi. Tb.,1973.
4. Miqadze I. Ekologia, Tb. 2011.
5. Samegrelo (M. Ardiasa da W. Janelidzis redaqtisiit), Tbilisi–Zugdidi, 1999.
6. Samegrelo–Zemo Svanetis mxaris miwis fondis ganawilebis angarishi 2001 da 2004 wlebis mixedvit, Zugdidi, 2004.
7. Urushadze T. saqartvelos dziritadi niadagebi, 1994.

## MAPPING OF LAND AND FOREST RESOURCES OF SAMEGRELO REGION

**Koba Korsantia**

Sokhumi State University Department of Geography,  
Doctor of Geography, Associate Professor  
E-mail: k.korsantia@sou.edu.ge

**Revaz Tolordava**

Sukhumi State University Department of Geography,  
Doctor of Geography, Associate Professor  
E-mail: r.tolordava@sou.edu.ge

*Presented by the Institute of Geography and Tourism at the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** The aim of the article is mapping of land and forest resources of Samegrelo region using geo-information system. According to the above-mentioned the following works have been implemented:

Comparison of land resources, which are located within administrative borders of the region, structural picture of land resources has been created on the basis of statistical information about land and results of reprocessing of the data acquired by the author on site, which gives a clear view on distribution of agricultural and nonagricultural lands in the region.

As a result of generalization of the above-mentioned material and surface differences the author elaborated geo-informational map of main soil resourcec in Samegrelo, which gives detailed information about complicity of geographic distribution of land resources. Also, based on the data of empirical observation the author elaborated geo-informational map of agriculture in Samegrelo, whire it is clearly shown zones of wodespread of agriculture fields on the territory of the region.

With the aim of ensuring and maintaining permanency and guaranteed application of mappings and renewable natural resources the author elaborated statistical, quantitative and qualitative figures of wood households, which are clearly indicated in the work. The work also includes comparative analysis of materials on forest resources of 80's of the last century. Contemporary geo-informational map of the potential of forest resources of Samegrelo, showing areas of widespreading of the forest during the last years, was elaborated with materials acquired by observations, analysis of empirical data and by application of databases.

**Keywords:** *Geo-information map, forest recourses, mapping.*